სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

06 / მარტი / 2026 წ.

KA011701120605226

№ **47337**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს;

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“;

სსიპ „სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს“;

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“;

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას;

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიას;

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას;

ქარელის მუნიციპალიტეტის მერიას;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიას;

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიას;

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიას;

წალკის მუნიციპალიტეტის მერიას;

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიას;

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიას;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას;

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას;

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიას;

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას;

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიას.

სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“ (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, ახორციელებს სისტემურ

რეგისტრაციას იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის № 798 ბრძანებით ქვეყნის 59 მუნიციპალიტეტში.

მიწის ნაკვეთების საკადასტრო აგეგმვა/აზომვა „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, განხორციელდა მცხეთის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 72) ზაჰესისა (სარეგისტრაციო სექტორი 12) და ლისის (სარეგისტრაციო სექტორი 16) ადმინისტრაციულ ერთეულებში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 52) არხილოსკალოს (სარეგისტრაციო სექტორი 10) ადმინისტრაციულ ერთეულში, ლენტეხის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 87) ცანას (სარეგისტრაციო სექტორი 08) ადმინისტრაციულ ერთეულში, ქარელის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 68) აბისის (სარეგისტრაციო სექტორი 03), ბრეთისა (სარეგისტრაციო სექტორი 11) და რუისის (სარეგისტრაციო სექტორი 15) ადმინისტრაციულ ერთეულებში, თელავის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 53) ვანთას (სარეგისტრაციო სექტორი 23) ადმინისტრაციულ ერთეულში, ახალციხის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 62) აგარას (სარეგისტრაციო სექტორი 05), საზღვარისა (სარეგისტრაციო სექტორი 18) და ახალციხის სატყეოს (სარეგისტრაციო სექტორი 19) ადმინისტრაციულ ერთეულებში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 81) კუმისის (სარეგისტრაციო სექტორი 24) ადმინისტრაციულ ერთეულში, ასპინძის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 60) სახ. მარაგის (სარეგისტრაციო სექტორი 13), ასპინძის მუნიციპალიტეტის მიწებისა (სარეგისტრაციო სექტორი 14) და დამალის საკრებულოს მიწების (სარეგისტრაციო სექტორი 15) ადმინისტრაციულ ერთეულებში, წალკის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 85) გუნიაკალას საკრებულოს მიწების (სარეგისტრაციო სექტორი 31) ადმინისტრაციულ ერთეულში, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 63) კოთელიას (სარეგისტრაციო სექტორი 06), ხავეთისა (სარეგისტრაციო სექტორი 23) და კარწახის (სარეგისტრაციო სექტორი 24) ადმინისტრაციულ ერთეულებში, შუახევის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 24) შუახევის რაიონის მიწები სამხრეთის (სარეგისტრაციო სექტორი 11) ადმინისტრაციულ ერთეულში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 26) ურეკის (სარეგისტრაციო სექტორი 28) ადმინისტრაციულ ერთეულში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 27) ჩოჩხათის (სარეგისტრაციო სექტორი 13), ჩოჩხათის მიწების (სარეგისტრაციო სექტორი 19), ჩოჩხათის მიწების (სარეგისტრაციო სექტორი 20), მაჩხვარეთის მიწების (სარეგისტრაციო სექტორი 21), აცანის მიწების (სარეგისტრაციო სექტორი 38), აკეთის მიწებისა (სარეგისტრაციო სექტორი 39), აცანის მიწების (სარეგისტრაციო სექტორი 40) და ნინოშვილის მიწების (სარეგისტრაციო სექტორი 45) ადმინისტრაციულ ერთეულებში, ხარაგაული მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 36) ხევის (სარეგისტრაციო სექტორი 05), მოლითის (სარეგისტრაციო სექტორი 17), წიფასა (სარეგისტრაციო სექტორი 19) და ნადაბურის (სარეგისტრაციო სექტორი 20) ადმინისტრაციულ ერთეულებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 64) ბაკურიანისა (სარეგისტრაციო სექტორი 30) და ბორჯომის რაიონის მიწების (სარეგისტრაციო სექტორი 34) ადმინისტრაციულ ერთეულებში, ადიგენის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 61) აბასთუმანის (სარეგისტრაციო სექტორი 11), გორგულის მიწებისა (სარეგისტრაციო სექტორი 18) და ხევაშენის (ჭიხე) (სარეგისტრაციო სექტორი 27) ადმინისტრაციულ ერთეულებში.

ზემოაღნიშნული მონაცემები, საჯაროდ გამოცხადდა საჯარო რეესტრის 2026 წლის 5 მარტის № 46245 გადაწყვეტილებით.

გაცნობებთ, რომ საჯაროდ გაცნობისთვის კანონმდებლობით დადგენილი 1-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ:

სარეგისტრაციო მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით საკუთრების/მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში, საჯარო რეესტრი დაარეგისტრირებს განმცხადებლის (დაინტერესებული პირის) საკუთრების უფლებას, თუ არ იარსებებს რეგისტრაციის დამაბრკოლებელი გარემოება.

სარეგისტრაციო მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში, საჯარო რეესტრი განიხილავს თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე განმცხადებლის (დაინტერესებული პირის) საკუთრების უფლების აღიარების საკითხს და დაარეგისტრირებს საკუთრების უფლებას, თუ საქმეში წარდგენილი იქნება ბლოკში არსებული ორი მომიჯნავე ან სამი არამომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეთა/საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა/ მოსარგებლეთა თანხმობა და არ იარსებებს რეგისტრაციის დამაბრკოლებელი გარემოება.

ოქმზე ხელმომწერი პირების თანხმობები, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების აღიარებისთვის, თუ დადასტურებული იქნება მიწის ფლობა 2007 წლის 20 სექტემბრამდე.

გადაწყვეტილების მიღებისას საჯარო რეესტრი იხელმძღვანელებს დაინტერესებული პირის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. შესაბამისად, საჯაროდ გამოცხადების დასრულების შემდეგ, მოძიებული დოკუმენტაციის საფუძველზე თავად განსაზღვრავს, თუ რომელ დოკუმენტს გამოიყენებს საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის.

საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნებისთვის, საჯარო რეესტრი დამატებით მოიძიებს საქმის განხილვისთვის საჭირო დოკუმენტაციას/ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის ცვლილებას/დამატებას შეიტანს ადგილზე დათვალიერების ოქმში. მიწაზე უფლების მქონე პირი

საბოლოოდ განისაზღვრება საჯარო რეესტრის მიერ, საქმეზე მოძიებული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. გამონაკლისს ადგენს კანონი.

ამავე კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში. 57-ე მუხლის შესაბამისად, საჯაროდ გამოცხადება ნიშნავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადმინისტრაციულ ორგანოში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე, ღიად განთავსებას. აუცილებლობის შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჯაროდ გამოცხადდება აგრეთვე სხვა საჯარო ადგილას.

„მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სარეგისტრაციო ბლოკში საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოებისა და სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მომზადების დასრულებისთანავე, საკადასტრო აღწერის შედეგად შედგენილი საკადასტრო რუკა მესაკუთრეთა/საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა და მოსარგებლეთა მონაცემების მითითებით, საჯარო გაცნობისათვის ქვეყნდება საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.napr.gov.ge), განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის ფარგლებში - განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის განმახორციელებლის ოფიციალურ ვებგვერდზე, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მუნიციპალიტეტში თვალსაჩინო ადგილზე, რაც შესაბამის დასახლებაში მცხოვრებ პირებს მისი გაცნობის საშუალებას მისცემს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კი, დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკადასტრო რუკის გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში ერთჯერადად მიმართონ საჯარო რეესტრს ან განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის განმახორციელებელს მიწის ნაკვეთის საკადასტრო აღწერის კონკრეტული შედეგების გადამოწმების მოთხოვნით. ერთთვიანი ვადის გასვლის შემდეგ უფლებები რეგისტრირდება საკადასტრო რუკაზე ასახული ინფორმაციის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიმდინარეობს მიწის ნაკვეთის საკადასტრო აღწერის კონკრეტული შედეგების გადამოწმება.

საჯარო რეესტრის 2026 წლის 5 მარტის № 46245 გადაწყვეტილებით, 30 კალენდარული დღის ვადით საჯაროდ გამოქვეყნდა გადაწყვეტილებაში მითითებულ არეალებზე და სარეგისტრაციო ბლოკებში არსებული მიწის ნაკვეთების, საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოებისა და სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მომზადების საფუძველზე შედგენილი საკადასტრო რუკები, მესაკუთრეთა/საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა, მოსარგებლეთა მონაცემების და აგეგმილი ნაკვეთის რეგისტრაციისთვის სავარაუდო ინფორმაციის/გარემოებების მითითებით, საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.napr.gov.ge), slr.napr.gov.ge - ვებგვერდზე, ზემოაღნიშნული მუნიციპალიტეტების ოფიციალურ ვებგვერდებზე, მერიების შენობებში და ადმინისტრაციული ერთეულების მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციულ შენობებში ყველასათვის ხელმისაწვდომ, თვალსაჩინო ადგილზე.

საჯაროდ გამოცხადების გადაწყვეტილებით დაინტერესებულ პირებს ეცნობათ, რომ თუ სარეგისტრაციო ბლოკში არცერთი მიწის ნაკვეთი არ არის რეგისტრირებული მიწის რეფორმის დროს გაცემული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებისთვის აუცილებელი იქნება სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ თანხმობის წარმოდგენა.

ინფორმაციისთვის გიგზავნით მცხეთის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 72) ზაჰესისა (სარეგისტრაციო სექტორი 12) და ლისის (სარეგისტრაციო სექტორი 16) ადმინისტრაციული ერთეულების, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 52) არხილოსკალოს (სარეგისტრაციო სექტორი 10) ადმინისტრაციული ერთეულების, ლენტეხის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 87) ცანას (სარეგისტრაციო სექტორი 08) ადმინისტრაციული ერთეულის, ქარელის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 68) აბისის (სარეგისტრაციო სექტორი 03), ბრეთისა (სარეგისტრაციო სექტორი 11) და რუისის (სარეგისტრაციო სექტორი 15) ადმინისტრაციული ერთეულების, თელავის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 53) ვანთას (სარეგისტრაციო სექტორი 23) ადმინისტრაციული ერთეულის, ახალციხის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 62) აგარას (სარეგისტრაციო სექტორი 05), საზღვარისა (სარეგისტრაციო სექტორი 18) და ახალციხის სატყეოს (სარეგისტრაციო სექტორი 19) ადმინისტრაციული ერთეულების, გარდაბნის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 81) კუმისის (სარეგისტრაციო სექტორი 24) ადმინისტრაციული ერთეულის, ასპინძის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 60) სახ. მარაგის (სარეგისტრაციო სექტორი 13), ასპინძის მუნიციპალიტეტის მიწებისა (სარეგისტრაციო სექტორი 14) და დამალის საკრებულოს მიწების (სარეგისტრაციო სექტორი 15) ადმინისტრაციული ერთეულების, წალკის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 85) გუნიაკალას საკრებულოს მიწების (სარეგისტრაციო სექტორი 31) ადმინისტრაციული ერთეულის, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 63) კოთელიას (სარეგისტრაციო სექტორი 06), ხავეთისა (სარეგისტრაციო სექტორი 23) და კარწახის (სარეგისტრაციო

სექტორი 24) ადმინისტრაციული ერთეულების, შუახევის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 24) შუახევის რაიონის მიწები სამხრეთის (სარეგისტრაციო სექტორი 11) ადმინისტრაციული ერთეულის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 26) ურეკის (სარეგისტრაციო სექტორი 28) ადმინისტრაციული ერთეულის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 27) ჩოჩხათის (სარეგისტრაციო სექტორი 13), ჩოჩხათის მიწების (სარეგისტრაციო სექტორი 19), ჩოჩხათის მიწების (სარეგისტრაციო სექტორი 20), მაჩხვარეთის მიწების (სარეგისტრაციო სექტორი 21), აცანის მიწების (სარეგისტრაციო სექტორი 38), აკეთის მიწებისა (სარეგისტრაციო სექტორი 39), აცანის მიწების (სარეგისტრაციო სექტორი 40) და ნინოშვილის მიწების (სარეგისტრაციო სექტორი 45) ადმინისტრაციული ერთეულების, ხარაგაული მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 36) ხევის (სარეგისტრაციო სექტორი 05), მოლითის (სარეგისტრაციო სექტორი 17), წიფასა (სარეგისტრაციო სექტორი 19) და ნადაბურის (სარეგისტრაციო სექტორი 20) ადმინისტრაციული ერთეულების, ბორჯომის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 64) ბაკურიანისა (სარეგისტრაციო სექტორი 30) და ბორჯომის რაიონის მიწების (სარეგისტრაციო სექტორი 34) ადმინისტრაციული ერთეულების, ადიგენის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 61) აბასთუმანის (სარეგისტრაციო სექტორი 11), გორგულის მიწებისა (სარეგისტრაციო სექტორი 18) და ხევაშენის (ჭიხე) (სარეგისტრაციო სექტორი 27) ადმინისტრაციული ერთეულების საკადასტრო აღწერის შედეგებს. ვინაიდან, აგეგმილი მიწის ნაკვეთების სამართლებრივი დამუშავება განხორციელდება, საჯაროდ გამოცხადების დასრულების შემდეგ, შესაბამისად, მიმდინარედ არ არის განსაზღვრული ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის სამართლებრივი საფუძველი.

დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №487 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის 37^{8}.1.ე.ე მუხლის მიხედვით, რეკრეაციულ ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე, როგორც თვითნებურად დაკავებულ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების აღიარება არ ხდება, გარდა „საქართველოს კურორტების, საკურორტო ადგილების, სამთო-სათხილამურო ცენტრებისა და შავი ზღვის სანაპიროს ტერიტორიებისათვის სარეკრეაციო ტერიტორიის სტატუსის მინიჭებისა და საზღვრების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სარეკრეაციო ტერიტორიებისა. „საქართველოს კურორტების, საკურორტო ადგილების, სამთო-სათხილამურო ცენტრებისა და შავი ზღვის სანაპიროს ტერიტორიებისათვის სარეკრეაციო ტერიტორიის სტატუსის მინიჭებისა და მათი საზღვრების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 დეკემბრის № 496 დადგენილებით განისაზღვრა გუდაურისა და ხადას ხეობის, ურეკის, შეკვეთილის, ბახმაროსა და ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის სტატუსი და საზღვრები.

„საქართველოს კურორტების, საკურორტო ადგილების, სამთო-სათხილამურო ცენტრებისა და შავი ზღვის სანაპიროს ტერიტორიებისათვის სარეკრეაციო ტერიტორიის სტატუსის მინიჭებისა და მათი საზღვრების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 დეკემბრის № 496 დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე, ამ დადგენილების პირველი მუხლით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების საკითხის განხილვისას, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილმა ორგანომ, ამავე კანონის 51 მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, უნდა იხელმძღვანელოს ამავე ტერიტორიებზე დამტკიცებული გეგმებით, მათ შორის, გათვალისწინებულ იქნეს ტერიტორიები, სადაც აღნიშნული გეგმების ფარგლებში მოწყობილია ან დაგეგმილია, მოეწყოს საკურორტო და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა (რომელიც შესაძლოა, მოიცავდეს (მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს) ზელოკალური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ტერიტორიას, ლოკალური ტრანსპორტის ტერიტორიას, სამთო-სათხილამურო მომსახურების ობიექტებს (სასრიალო ტრასები, საბაგიროები, ანგარის შენობა და ა. შ.), წყლის ხელოვნურ რეზერვუარსა და ხელოვნური გათოვლიანების სისტემებს, სერვისცენტრებსა და მის დამხმარე ნაგებობებს, ტურისტულ ბილიკებს, ველობილიკებს/ველოპარკებს, ბულვარებს, ატრაქციონებს, სოციალური მომსახურების/საგანმანათლებლო/სამედიცინო/სპორტულ ობიექტებს), რათა უზრუნველყოფილ იქნეს საკურორტო და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ფუნქციონირება.

გთხოვთ, „საქართველოს კურორტების, საკურორტო ადგილების, სამთო-სათხილამურო ცენტრებისა და შავი ზღვის სანაპიროს ტერიტორიებისათვის სარეკრეაციო ტერიტორიის სტატუსის მინიჭებისა და მათი საზღვრების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 დეკემბრის № 496 დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, საჯაროდ გამოცხადების ვადაში მოგვაწოდოთ ინფორმაცია, წინამდებარე მომართვის დანართში არსებული (იხ. დანართი) აგეგმილი მიწის ნაკვეთების ტერიტორიაზე, ხომ არ არის მოწყობილი ან დაგეგმილი საკურორტო და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა (რომელიც შესაძლოა, მოიცავდეს (მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს) ზელოკალური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ტერიტორიას, ლოკალური ტრანსპორტის ტერიტორიას, სამთო-სათხილამურო მომსახურების ობიექტებს (სასრიალო ტრასები, საბაგიროები, ანგარის შენობა და ა. შ.), წყლის ხელოვნურ რეზერვუარსა და ხელოვნური გათოვლიანების სისტემებს, სერვისცენტრებსა და მის დამხმარე ნაგებობებს, ტურისტულ ბილიკებს, ველობილიკებს/ველოპარკებს, ბულვარებს, ატრაქციონებს, სოციალური მომსახურების/საგანმანათლებლო/სამედიცინო/სპორტულ ობიექტებს), რათა უზრუნველყოფილ იქნეს საკურორტო და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ფუნქციონირება.

გთხოვთ, განიხილოთ და საჭიროების შემთხვევაში, 2026 წლის 6 აპრილამდე წარმოგვიდგინოთ თქვენი დასაბუთებული მოსაზრება კონკრეტულ მიწის ნაკვეთთან/ნაკვეთებთან/სარეგისტრაციო ბლოკთან დაკავშირებით კერძო საკუთრების უფლების რეგისტრაციით, რა სახელმწიფოებრივი/საზოგადოებრივი ინტერესი დაზიანდება.

აქვე გაცნობებთ, რომ საჯარო გაცნობის დასრულების შემდეგ უფლებები დარეგისტრირდება საკადასტრო რუკაზე ასახული ინფორმაციის და მოძიებული დოკუმენტაციის სამართლებრივი დამუშავების შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის საკადასტრო აღწერის კონკრეტული შედეგების გადამოწმება.

დამატებით გაცნობებთ, რომ წერილზე დართული ფაილის მონაცემების დეტალურად გაცნობა, ასევე, შესაძლებელია GIS-ის პროგრამაში.

დანართი N1: ნაკვეთების მოხაზულობა იხილეთ ბმულზე -

https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=201&bid=3e05257d1a8920bbb7683764620b1c39/9ede4297d91a16ef5d9178b4f9c559aa-1e5154e9-2105-4658-a5f7-8ec682f20987

დანართი N2: ნაკვეთების სია.

მიწის რეგისტრაციის სამსახურის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ანა მელაშვილი